

არასამეწარმეო იურიდიული პირის ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის (ს/კ: 203863756)

წესდება
(წევრთა შეთანხმება)

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

- 1.1. ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი (ს/კ: 203863756), წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ, წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს;
- 1.2. საზოგადოების სახელწოდებაა: „ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი„ (შემდგომში „ICOMOS საქართველო“);
- 1.3. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
- 1.4. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ბეთლემის აღმართი №16ბ;
- 1.5. საზოგადოების ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@icomos.org.ge;
- 1.6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

მუხლი 2. ორგანიზაციის საქმიანობა და მიზნები

- 2.1 ICOMOS საქართველოს საქმიანობის მიზნებსა და სფეროს წარმოადგენს (მაგრამ არ შემოიფარგლება):
- 2.1.1 ძეგლთა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის განხორციელება ეროვნულ დონეზე, საერთაშორისო ორგანიზაცია „ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების საერთაშორისო საბჭოს- ICOMOS-ის“ (შემდგომში „საერთაშორისო ICOMOS“) მიზნების, სადამფუძნებლო და პოლიტიკის დოკუმენტაციითა და სამუშაო პრინციპებით გათვალისწინებული წესების დაცვით;
 - 2.1.2 ეროვნულ და საერთაშორისო კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა, კონსერვაცია (ძეგლების, შენობათა ჯგუფებისა და ღირსშესანიშნაობათა დაცვა, კონსერვაცია, რეაბილიტაცია, მართვა) მისი მატერიალური და არამატერიალური ასპექტების განვითარება;
 - 2.1.3 ძეგლების, შენობათა ჯგუფების და ღირსშესანიშნავი ადგილების დაცვა, პოპულარიზაცია, კონსერვაცია, რესტავრაცია და კეთილმოწყობა, საერთაშორისო და ეროვნული პრინციპების საფუძველზე;
 - 2.1.4 საერთაშორისო იკომოსის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებების, იკომოსის გამგეობის ინსტრუქციებისა და პროგრამების განხორციელება ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით;
 - 2.1.5 სამეცნიერო პრინციპების, ტექნოლოგიისა და ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების დაცვის, კონსერვაციისა და რესტავრაციის დარგში არსებული ინფორმაციის შეკრება, შესწავლა, გაცვლა და გავრცელება;
 - 2.1.6 ძეგლთა დაცვის დარგში, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და გამოცდილებისა და ცოდნის ურთიერთგაცვლის პროცესების ორგანიზება/მათში მონაწილეობა;
 - 2.1.7 ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების დაცვის, კონსერვაციის და რესტავრაციის სპეციალისტების მომზადებასა და სამეცნიერო პროგრამების დამუშავებაში მონაწილეობა;
 - 2.1.8 ძეგლთა დაცვითი პრინციპებისა და სამეცნიერო საკითხების გადააზრებისა და რეფლექსიისათვის ფორუმების, დისკუსიებისა და პროფესიონალთა წრეების ორგანიზება;
 - 2.1.9 საქმიანობაში საჯარო ინსტიტუციების, პროფესიული წრეებისა და დაინტერესებული ფართო საზოგადოების ჩაბმა;
 - 2.1.10 კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციების, რეკომენდაციების, პოლიტიკის დოკუმენტების გავრცელების, მიღებისა და განხორციელების ხელშეწყობა;
 - 2.1.11 ტექნიკური დახმარების პროექტების მართვა;

- 2.1.12 მიმდინარე საჭიროების მიხედვით, გამგეობის წარდგენით ღროებით სამუშაო თემატური ჯგუფების შექმნა, კონკრეტული სამეცნიერო, ტექნიკური თუ პროფესიული ხასიათის საკითხისა თუ პრობლემის შესწავლის მიზნით. (მათ შორის გამონაკლის შემთხვევებში, არანევრებისგან შემდგარი ჯგუფებიც);
- 2.1.13 ICOMOS საქართველო წაახალისებს ეროვნული სამეცნიერო კომიტეტების ჩამოყალიბებას, რომლებიც იმოქმედებენ საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის მსგავსად. ეროვნული სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს შესაბამისი საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის ექსპერტი წევრი და ჰქონდეს აღნიშნულ კომიტეტში ხმის უფლება. მან უნდა იკისროს ამ ორ კომიტეტს შორის ინფორმაციის გაცვლა. სანამ არ არსებობს ეროვნული სამეცნიერო კომიტეტი, ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე იქნება პასუხისმგებელი საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტთან კომუნიკაციაზე.
- 2.1.14 ICOMOS საქართველოს-ს მიზანია, განავითაროს რეგიონული თანამშრომლობა, სხვა, არა მხოლოდ, გეოგრაფიულად ახლომდებარე ეროვნულ კომიტეტებთან, არამედ ყველა სხვა კომიტეტთან, ვისთანაც აქვს საერთო ინტერესები, ან საზიარო კულტურული მემკვიდრეობა. თანამშრომლობა მოიცავს სამეცნიერო კვლევა-ძიებასა და ცოდნის გაცვლას მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის მრავალდისციპლინური მიდგომების განსავითარებლად.
- 2.1.15 ICOMOS საქართველოს მონაწილეობას მიიღებს იუნესკოს წინასწარული ნუსხისათვის ძეგლების შერჩევასა და ნომინაციის მომზადების პროცესში. თავისი შესაძლებლობების ფარგლებში უპასუხებს საერთაშორისო ICOMOS-ის მსოფლიო მემკვიდრეობის სექციის თხოვნას, გამოთქვას მოსაზრება ნომინაციებზე. შეძლებისდაგვარად მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო ICOMOS-ის ექსპერტთა შეფასების და მონიტორინგის მისიებში იკომოსის მსოფლიო მემკვიდრეობის სექციის მოწვევის შემთხვევაში;
- 2.1.16 კანონით აუკრძალავი სხვა საქმიანობა;
- 2.1.17 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია;
- 2.1.18 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 3. ორგანიზაციის წევრობა

- 3.1. ICOMOS საქართველო წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა;

3.2 გამოიყოფა წევრთა (ოთხი) ძირითადი კატეგორია: *ინდივიდუალური წევრები, ინსტიტუციონალური წევრები, ასოცირებული წევრები და საპატიო წევრები*:

- **ინდივიდუალური წევრები:** წარმოადგენენ ძველთა დაცვისა და მომიჯნავე სფეროებში ექსპერტული ცოდნის მქონე ინდივიდუალურ პროფესიონალებს, რომლებიც იზიარებენ ICOMOS საქართველოს წესდებით განსაზღვრულ მიზნებს, საქმიანობენ და ზრუნავენ ამ მიზნების მისაღწევად;
- **ინსტიტუციური წევრები:** წარმოადგენენ ძველთა დაცვისა და მომიჯნავე სფეროებში, ექსპერტული ცოდნის მქონე და/ან ამ სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს, ასევე, ძველების მფლობელ, ან მეურვე ორგანიზაციებს, რომლებიც იზიარებენ ICOMOS საქართველოს წესდებით განსაზღვრულ მიზნებს, საქმიანობენ და ზრუნავენ ამ მიზნების მისაღწევად; ინსტიტუციურ წევრები კომიტეტში წარმოდგენილი არიან ერთი კვალიფიცირებული პროფესიონალით.
- **ასოცირებული წევრები:** წარმოადგენენ, კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებულ, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს, რომლებიც სხვადასხვა მეთოდით მხარს უჭერენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და განვითარებას, ამავედროულად იზიარებენ, ICOMOS საქართველოს წესდებით განსაზღვრულ მიზნებს;
- **საპატიო წევრები:** წარმოადგენენ საერთაშორისო ICOMOS-ის გენერალური ასამბლეის მიერ, ეროვნული ან საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების წარდგინებით, არჩეულ ინდივიდუალურ წევრებს, რომლებმაც მათი მოღვაწეობითა და დამსახურებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების საქმეში.

3.3 ახალგაზრდა პროფესიონალები და სტუდენტები შესაძლოა განხილულ იყვნენ ინდივიდუალური წევრობის კანდიდატებად. ამ შემთხვევაში, მათ ICOMOS საქართველოს უნდა წარმოუდგინონ რეზიუმე, საიდანაც ცხადი იქნება, რომ ისინი საქმიანობენ ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად;

3.4 ყველა ტიპის წევრობისათვის კანდიდატურების წარდგენის, არჩევისა და შეფასების, დამატებითი კრიტერიუმების დადგენის, წევრთა უფლება-მოვალეობები, ასევე სანქციები და წევრობის დაკარგვის შემთხვევები, ასევე წევრის კანდიდატად წარდგენაზე უარის თქმის წესები განისაზღვრება საერთაშორისო ICOMOS -ის წესდების შესაბამისად გამგეობის მიერ დამტკიცებულ წერილობით დოკუმენტში: *ინსტრუქცია ICOMOS საქართველოში განწვერიანების მსურველთათვის* და ხელმისაწვდომია ყველა მსურველისთვის.

3.5 **წევრთა ვალდებულებებია:**

- გაითვალისწინონ საერთაშორისო იკომოსის გენერალური ასამბლეის, გამგეობისა და ეროვნული კომიტეტის გამგეობის გადაწყვეტილებები;

- გაითვალისწინონ და დაემორჩილონ ეთიკის პრინციპებს, რომელიც მიღებულია იკომოსის გენერალური ასამბლეის მიერ ფლორენციაში 2014 წელს (შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით);
- წევრთა უფლება-მოვალეობები, ასევე სანქციები და წევრობის დაკარგვის შემთხვევები, განისაზღვრება საერთაშორისო იკომოსის წესდებით, სადამფუძნებლო და სხვა დოკუმენტაციით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება წევრთათვის;

მუხლი 4 საზოგადოების მართვის ორგანოები

- 4.1. საზოგადოების მართვის ორგანოებია წევრთა საერთო კრება და გამგეობა;
- 4.2 საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს ICOMOS საქართველოს **წევრთა საერთო კრება**.
- 4.3 წევრთა საერთო კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ, არა ნაკლებ წელიწადში ერთხელ, ICOMOS საქართველოს გამგეობის, ან პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ან რიგგარეშედ, საერთო კრების წევრთა 1/5-ის წერილობითი მოთხოვნით;
- 4.3 კრება მოიწვევა, წევრებისათვის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინებით, კრების გამართვამდე არა უგვიანეს 2 (ორი) კვირით ადრე. შეტყობინებასთან ერთად, ან მოგვიანებით, შესაძლებელია გაგზავნილი იქნეს კრების დღის წესრიგი და განსახილველი დოკუმენტაცია;
- 4.4 საერთო კრება **იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:**
- ICOMOS საქართველოს გამგეობის წევრების არჩევა;
 - ICOMOS საქართველოს პრეზიდენტისა (თავმჯდომარე) და გენერალური მდივნის არჩევა;
 - საპატიო წევრობისთვის კანდიდატების წარდგენა;
 - ორგანიზაციის ფინანსური მოღვაწეობის წლიური ანგარიშის დამტკიცება;
 - ორგანიზაციის წესდებაში ცვლილებების შეტანა.
- 4.5 საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარია, თუ მას ესწრება წევრების საერთო რაოდენობის 2/3. ხოლო გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, გარდა ასოცირებული წევრებისა და სტუდენტებისა);
- 4.6 ICOMOS საქართველოს ორგანიზაციული და სხვა ტიპის საქმიანობის მოსაწესრიგებლად, წევრთა საერთო კრების შემადგენლობიდან იქმნება გამგეობა;
- 4.7 გამგეობის შემადგენლობაში შესასვლელად, კანდიდატურის ნომინირებას ახდენენ კრების წევრები;
- 4.8 გამგეობის წევრად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც წევრთა საერთო კრების ხმათა უმრავლესობას მიიღებს;

- 4.9 გამგეობა შედგება არანაკლებ ხუთი წევრისაგან, რომელთაგან ორ წევრს შეადგენს ორგანიზაციის პრეზიდენტი (თავმჯდომარე) და მდივანი;
- 4.10 გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:
- ICOMOS საქართველოს საწევროების შეკრებასა და საერთაშორისო იკომოსში გადარიცხვა;
 - ICOMOS საქართველოს პროგრამების მომზადება და შესრულება;
 - იმ გარიგებების მოწონება, რომელთა ღირებულებაც აღემატება გამგეობის მიერ დადგენილ ოდებობას ან რომელიც მიეკუთვნება სპეციფიკურ სახეს;
 - ორგანიზაციის ახალ წევრთა კანდიდატურების შერჩევა, განხილვა, დამტკიცება და საერთაშორისო ICOMOS-ში წარდგენა ;
 - საერთო კრების მოსამზადებელი, ორგანიზაციული სამუშაოების შესრულება;
 - საერთაშორისო ICOMOS-ის გენერალურ ასამბლეაზე წევრისათვის ხმის უფლების მინიჭება;
 - სხვა საკითხების განხილვა, რომლებიც არ მიეკუთვნება პრეზიდენტის ან საერთო კრების კომპეტენციას.
- 4.11 გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება მინიმუმ, 4 (ოთხი) წევრი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, დამსწრეთა უმრავლესობის მხარდაჭერით;
- 4.12 გამგეობის სხდომა მოიწვევა ორგანიზაციის პრეზიდენტის (თავმჯდომარის), ან მისი დავალებით, მდივნის მიერ, გამგეობის კრებამდე, არა უგვიანეს 1 (ერთი) კვირით ადრე, ელექტრონული ფოსტის გაგზავნის გზით;
- 4.13 გამგეობის კრება ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არა ნაკლებ, 6 (ექვსი) თვეში ერთხელ;
- 4.9 გამგეობის წევრები აირჩევიან 3 (სამი) წლიანი ვადით. გამგეობის წევრის ვადის ამოწურვისას, ან გამგეობაში წევრის ადგილის გათავისუფლების შემთხვევაში, გამგეობა საერთო კრების შემადგენლობიდან ასახლებს გამგეობის მოვალეობის შემსრულებელ დროებით წევრს, რომელიც მოვალეობას შეასრულებს, წევრთა მომდევნო საერთო კრებამდე. გამგეობის წევრი შესაძლოა იმავე თანამდებობაზე დაინიშნოს, არა უმეტეს (ზედიზედ, ან ვადის გამოტოვებით) 3 (სამი) ვადით.

მუხლი 5 საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- 5.1 ორგანიზაციის მესამე პირთა წინაშე წარმომადგენლობის მიზნით, წევრთა საერთო კრება ირჩევს ორგანიზაციის პრეზიდენტს (თავმჯდომარე);
- 5.2 გამგეობა იღებს, შეარჩევს და წევრთა საერთო კრებაზე წარადგენს პრეზიდენტობის მაქსიმუმ 3 (სამი) კანდიდატს;
- 5.3 პრეზიდენტად არჩეულად ჩაითვლება ის პირი, რომელიც კრების წევრთა ხმათა უმრავლესობას მიიღებს;

5.4 პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაა 3 (სამი) წელი. პრეზიდენტად იმავე თანამდებობაზე შესაძლოა არჩეული იქნეს პირი, არა უმეტეს (ზედიზედ, ან ვადის გამოტოვებით) 3 (სამი) ვადით;

5.5 **პრეზიდენტი (თავმჯდომარე) განახორციელებს შემდეგ საქმიანობას:**

- წარმოადგენს ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- ღებს გარიგებებს, ხელს აწერს ოფიციალურ დოკუმენტაციას, ასევე წარმოადგენს საბანკო და საფინანსო ინსტიტუტებთან ხელმომწერ პირს;
- შეარჩევს და ამტკიცებს საგრანტო პროექტებს;
- ხელს აწერს გადარიცხვებს ორგანიზაციის სახელით;
- შეარჩევს თანამშრომლებს და ხელს აწერს მათთან ხელშეკრულებებს;
- შეარჩევს და ხელს აწერს ხელშეკრულებებს კონტრაქტორ ორგანიზაციებთან/ინდივიდებთან;
- შინაარსობრივად ზედამხედველობს ორგანიზაციის საქმიანობას;
- განსაზღვრავს ორგანიზაციის სტრუქტურას და საქმიანობის წესს;
- უფლებამოსილია საჭიროებისამებრ, დანიშნოს და გაათავისუფლოს (ადმინისტრაციული) დირექტორი;
- უფლებამოსილია, მოიწვიოს გამგეობისა და საერთო კრების სხდომები;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. ორგანიზაციის ფინანსები

6.1 ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლები განისაზღვრება:

- საწევრო გადასახადებისგან, რომელსაც ორგანიზაციის წევრები გადაიხდიან საერთაშორისო ICOMOS-ის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისად;
- შემოწირულობებისა და გრანტებისგან;
- სახელმწიფო სუბსიდიებისგან;
- კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებისგან.

მუხლი 7. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

7.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წევრთა საერთო კრება;

7.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

7.4. გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა ღარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)

- იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
- 7.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საერთო კრების წევრები. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
- ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
 - ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
 - გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
- 7.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.
- 7.7. თუ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საერთო კრების წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ლიკვიდირებულ არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.
- 7.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

- 8.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის საერთო კრების წევრების ხელმოწერისთანავე;
- 8.2 თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
- 8.3 წინამდებარე წესდება ცვლის და აუქმებს მანამდე მოქმედ წესდებებს;
- 8.4 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.